საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-385

05/05/2020

ქ. თბილისი

ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსება, ნარჩენების აღდგენა, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; სახიფათო ნარჩენების განთავსება და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 და მე-17 პუნქტის, II დანართის მე-10 პუნქტის 10.2, 10.3, 10.4 და 10.5 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსება, ნარჩენების აღდგენა, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; სახიფათო ნარჩენების განთავსება და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №39 (04.05.2020);
2. შპს „რუსთავის ფოლადი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №39 (04.05.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რუსთავის ფოლადს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი